ბრძანება:**ბ47.47212042**

თარიღი:**23/07/2021**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის პირველი პუნქტის, 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.მიმდინარე წლის 30 ივლისს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1.ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.2.„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.3.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში მდებარე 167.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - 28.23.21.560) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. #2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 35.20 კვ.მ. ფართზე (ს/კ - 28.01.22.007) (თანდართული მეორე სართულის გეგმის მიხედვით) (მიწის (უძრავი ქონების) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, ა.(ა).ი.პ. ,,სოფლის განვითარების სააგენტო“-ს არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. #1-ში მდებარე შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე განთავსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 272.30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (თანდართული მეორე სართულის გეგმის მიხედვით) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – #28.01.22.016.01.508) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, 2 (ორი) წლის ვადით გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.6.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამატებითი საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

1.7.მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 6 თვის ანგარიში ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

2. მუნიციპალიტეტში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე სხდომის ჩატარების ადგილად განისაზღვროს: დაბა.ჩოხატაური დუმბაძის N20-ა (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სასახლე).

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე